**03/02/2026 წ.**

**სპეციალური პენიტენციური სამსახურის დირექტორს, ბატონ გიორგი პატარიძეს**

“რადიო თავისუფლება” ამზადებს მასალას  პატიმრების კვებასთან დაკავშირებით, გთხოვთ თქვენი სამსახურის შესაბამისი კომპეტენციის პირმა (ან პირებმა) მოგვცეს ინტერვიუ ვიდეო ან აუდიო ფორმატით, ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით:

1. შპს “ილი ჯგუფთან” პატიმრების კვებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების (ტენდერის ნომერი: NAT220024648) მე-14 მუხლის თანახმად, შემსყიდველს აქვს უფლება შეწყვიტოს კონტრაქტი, მიმწოდებლის მხრიდან გარკვეული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.
   თქვენი სამსახურის მიერვე დადასტურებული რამდენიმე ასეული დარღვევის ფონზე, რატომ არ გამოიყენა უწყებამ ეს უფლება და რატომ მიიჩნია მიზანშეწონილად კომპანიასთან თანამშრომლობის დღემდე გაგრძელება?
2. როდესაც მიმწოდებელ კომპანიას დაკისრებული აქვს დაახლოებით 30 მლნ ლარის ჯარიმა (რაც ხელშეკრულების საერთო ღირებულების 25 %-ზე მეტია) და ის უარს აცხადებს ამ ჯარიმების ნებაყოფლობით გადახდაზე, რა სამართლებრივი ან ეკონომიკური არგუმენტით არ მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა და ჯარიმების ამოღება საბანკო გარანტიის ან გადასახდელი თანხების დაკავების გზით?
3. მიმართა თუ არა პენიტენციურმა სამსახურმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შპს „ილი ჯგუფის“  ე.წ. **შავ სიაში** რეგისტრაციის მოთხოვნით? თუ არა, რატომ არ იქნა გამოყენებული ეს ბერკეტი სისტემური დამრღვევი კომპანიის წინააღმდეგ?
4. თქვენი სამსახურის მომზადებულ დოკუმენტებში, ინსპექტირების შედეგებში აღწერილია ათეულობით შემთხვევა, როდესაც ქრონიკული დაავადებების მქონე პატიმრებს (ტუბერკულოზი, C ჰეპატიტი, დიაბეტი) დაერღვათ დიეტა, დააკლდათ სამედიცინო დიეტით გათვალისწინებული კერძები და პროდუქტები. როგორ აფასებს უწყება კომპანიის ამ მოქმედებას და ხედავს თუ არა აქ პატიმართა ჯანმრთელობის უფლების სისტემური დარღვევის რისკს?
5. 2025 წლის აპრილში, როდესაც „ილი ჯგუფმა“ ვერ შეძლო მომსახურების სრულფასოვანი მიწოდება და პენიტენციურ სამსახურს მოუხდა დაჩქარებული წესით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით დაახლოებით 300,000 ლარის ნახევარფაბრიკატი პროდუქციის სხვა კომპანიისგან შეძენა, რატომ არ გახდა ეს ფაქტი ილი ჯგუფთან ხელშეკრულების დაუყოვნებლივი შეწყვეტის საფუძველი?

   წინასწარ გიხდით მადლობა

გ. მგელაძე

პატივისცემით, გიორგი მგელაძე
“რადიო თავისუფლების” ჟურნალისტი

ტელ: 599 68 28 38